ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს!

ლენინის საქმე უკვდავია

18 იანვარს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საქცნიერო-თეორიული კონფერენცია „ვ. ი. ლენინის მოძღვრება და საქმე უკვდავია“. კონფერენცია მოიწვიეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, შემოქმედებითმა კავშირებმა და ორგანიზაციებმა. კონფერენცია მიეძღვნა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავს.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა.**

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, აკადემიკოსმა **ბ. ნ. პონომარიოვმა.**

მოხსენება „ვ. ი. ლენინი და სოციალისტური კულტურა“ გააკეთა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **გ. მ. მარკოვმა.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№ 14 (5044)
20 იანვარი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲕᲐᲚᲠᲐᲙᲘ

პრეტენდენტთა მატჩები

ოგასტა, 19 იანვარი. გუშინ დამთავრდა ვ. კორჩნოისა (სსრ კავშირი) და ე. შეკინგის (ბრაზილია) მატჩის პირველი პარტია. ისევე როგორც მეორე პარტიაში, მეტოქენი ამჯერადაც ყაიმზე შეთანხმდნენ.

სან-ხუანი, 19 იანვარი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და რ. ბირნის (აშშ) მატჩის მესამე პარტია დაუმთავრებელი დარჩა. გადადებულ პოზიციაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უპირატესობას ინარჩუნებს და მოგების რეალური შანსი აქვს.

ფედერაციამ უძლიერესები დაასახელა

სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ გასული სეზონის შედეგების მიხედვით დაადგინა ქვეყნის 21 საუკეთესო წყალბურთელის სია. გაგაცნობთ უძლიერესებს.

მეკარეები: ი. მიტიანინი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ხ. შევერნოვი („დინამო“, მოსკოვი), ვ. გულიაევი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი); მცველები: ა. დრუგალი, ვ. რომანიუკი (ორივე — მოსკოვის უნივერსიტეტი), ა. აკიმოვი, ა. დოლგუშინი (ორივე — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი), ვ. პუშკარიოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ვლ. აკიმოვი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი), მოძრავი თავდამსხმელები: ა. ბარანოვი („დინამო“, კიევი), ვ. შუდკი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი), ნ. მილნიკოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ა. ფროლოვი („დიპაჟო“, მოსკოვი), ვ. ისაევი („დინამო“, თბილისი), ს. მორგოშკა („დინამო“, კიევი); ცენტრალური თავდამსხმელები: ა. კაბანოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ლ. ოსიპოვი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი), ნ. შუვნიერაძე (მოსკოვის უნივერსიტეტი), ნ. ბარანოვი („დინამო“ ალმა-ათა), ვ. სერგეევი („დინამო“, კიევი), ე. კოტლიაროვი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბი).

„ლელოს“ საკუთარი

ბაკურიანიდან ტელეფონით გვატყობინებენ

საბანგაშო ბევრი აღარაფერია

სამიოდე დღეც და ბაკურიანში სტარტს აიღებს წლევანდელი სეზონის საკავშირო შეჯიბრებები. რბოლებში ბაკურიანის პრიზზე 23 იანვარს გამართულ საკავშირო ტურნირს მოჰყვება სამთომოთხილაბურეთა საკავშირო თახის გათამაშების მორიგი ეტაპი — შეჯიბრება „ლელოს“ პრიზზე. მერე, თვის დამლევამდე, მორბენალთა და ორჭიდელთა საკავშირო თასები გათამაშდება. ამ თავისებურ ციკლს საქართველოს ზამთრის სპარტაკიადა დაასრულებს.

ეს ასპარეზობები ბაკურიანის ახალი ობიექტების გენერალური შემოწმებაც იქნება. მშენებლებს ბევრს ვედარაფერს ვუსაყვედურებთ. მართალია, სამშენებლო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პირვანდელი ვადები უხეშად დაირღვა, რამაც შესაძლოა პირველი ციკლის შეჯიბრებებზე ერთგვარი გავლენა მოახდინოს, მაგრამ უდავოა, რომ ხალხთა სპარტაკიადისთვის ყველა ბაზა მწყობრში ჩადგება.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ 90- და 70-მეტრიანი ტრამპლინები საექსპლოატაციოდ მიიღეს. საწვრთნელ მეცადინეობათა ჩატარება უკვე დეკემბრის დამლევისთვის შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ვინაიდან ბაკურიანის სპორტნაგებობათა კომბინატის შტატების დაკომპლექტება და დამტკიცება გაჭიანურდა. იმ ამბავმა, რომ მუშახელი არ ჰყავდათ, ტრამპლინების სავარჯიშოდ გაწყობა შეაფერხა. არადა, დრო არ იცდიდა. მაშინ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ნ. თვაურსა და სპორტის დამსახურებულ ოსტატ კ. წაქაძეს მხარში ამოუდგნენ სპორტსმენები და მწვრთნელები მ. გავა, ზ. თვაური, საქართველოს სპორტკომიტეტის განყოფილების უფროსები ა. არხანგელსკი და გ. კასრაძე, ბაზა-პანსიონატის დირექტორი ვ. ფანჭაიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის სპორტსმენები, ბაკურიანის „დინამოს“ სპორტსკოლის მოსწავლეები.

შრომაში რამდენიმე დღე მიილია (ეს სპორტსმენთა საერთო ფიზმომზადებისთვის ხახარგებელი იყო). ახლა ორივე ნაგებობა ყოველმხრივ მზადაა. სპორტსმენებმა, რომელთა შორის ქვეყნის ორჭიდელთა ნაკრების წევრებიც იყვნენ, კ. წაქაძის მეთაურობით უკვე მოსინჯეს სარბიელი და ახლაც რეგულარულად ვარჯიშობენ. ამ ობიექტის საბოლოოდ დამთავრებას ხელს ის უშლის, რომ 70-მეტრიან ტრამპლინზე სატკეპნი ჯერ არ დაუდგამთ. თანაც, საბაგირო გზის სავარძლები ერთგან მიწას ედება. მაგრამ ეს ნაკლი ძნელი გამოსახწორებელი არ არის.

მიტარბი — კოხტაგორა მეორის საბაგირო გზა ძირითადად მზადაა. ამ გზის ქვედა ნახევარი კარგა ხანია გამოსცადეს, ახლა მოსაგვარებელია მხოლოდ საკონტროლო სიგნალების, რადიოსა და ტელეფონის კაბელების საკითხი. „საქენერგონახშირისა“ და კავშირგაბმულობის წარმომადგენლები ამ საქმესაც მალე მორჩებიან.

(დასასრული მე-2 გვ.).

სკოლა ძალებს ცდის

ბაკურიანში „დინამოს“ სათხილამურო სპორტის სპეციალიზებული სკოლა სულ სამიოდე წელია გაიხსნა და უკვე საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. მაგალითად, ამ სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთ თანატოლთა შარშანდელ საკავშირო პირველობაში III ადგილი დაიკავეს. მალე ბაკურიანის სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ მორიგ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც დაბა სლავსკოეში გაიმართება. ამ ასპარეზობისთვის გუნდის წევრთა შესარჩევად ამას წინათ ბაკურიანში ჩატარდა სკოლის სამთომოთხილაბურეთა და ტრამპლინიდან მხტომელთა პირველობა, რომელშიც თითქმის ყველა აღსაზრდელი მონაწილეობდა.

პროგრამაში იყო სპეციალური (ტრასა — 210 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 45 მ, 25 კარი) და გიგანტური (600 მ, 85 მ, 25 კარი) სლალომი, სწრაფდაშვება (600 მ, 85 მ, 17 კარი) და 25-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.

სამთომოთხილაბურეთა შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა დ. სოთიშვილი, რომელიც 1957-60 წლებში დაბადებული ბიჭების ჯგუფში გამოდიოდა. მან ყველა სახეობაში I ადგილი დაისაკუთრა.

უმცროსი ასაკის ბიჭებიდან (1961-64 წლებში დაბადებულნი) კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ს. დიაკონაშვილმა, რომელმაც მოიგო სწრაფდაშვება (50,7) და სპეციალური სლალომი (1.05,2). გიგანტურ სლალომში ჩემპიონი გახდა გ. ჯეირანაშვილი (54,9), რომელსაც დიაკონაშვილი 0,1 წამით ჩამორჩა.

გოგონებიდან უნდა გამოვყოთ ჭ. აკუფოვა, რომელსაც უფროსი ასაკის ჯგუფში ბადალი არ ჰყავდა გიგანტურ სლალომსა (57,8) და სწრაფდაშვებაში (42,8).

კარგად გამოვიდნენ უმცროსი ასაკის სპორტსმენებიც: მერი კოზანაშვილი (სწრაფდაშვება — 53,8), მ. ხრიკაძე (სპეციალური სლალომი — 1.24,6) და თ. ბანდური (გიგანტური სლალომი — 1.03,0).

ტრამპლინიდან ხტომაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ბ. ზანგეული. მან 244,6 ქულა მოაგროვა და 40 ქულაზე მეტით აჯობა II ადგილზე გასულ ს. ხაჩატურიანს.

ო. კიკნაველიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

საბანაშო ბევრი აღარაფერია

დასასრული

მაგრამ სწრაფდაშვების ტრასის დამთავრება მაინც გიანურდება, ვინაიდან ბაკურიანში იტალიიდან ჯერ კიდევ არ მოსულა თოვლსატკეპნი მანქანები (არც იციან, როდის მიიღებენ), კოხტაგორა მეორეზე ჯერ მზად არ არის სპორტსმენთა დასასვენებელი ქოხი.

საცგაო ტრასის მშენებლობაზე საქმემ საგრძნობლად წინ წაიწია: შესასრულებელი დარჩა სამუშაოთა მხოლოდ 10 პროცენტი. ჯერჯერობით არსად ჩანს ტრასის მოსარწყავად საჭირო შლანგები და ვირაჟების მზისგან დასაცავი 3000 კვადრატული მეტრი ბრეზენტი. ტრასის წყლის სისტემის გამოცდა ორიოდე დღეში მოეწყობა. ახლა უველაფერი ამ სისტემის ვარგისიანობასა და შლანგებზეა დამოკიდებული. თუ უველა ღონე არ იხმარეს, საციგაო სპორტში საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება შეიძლება ჩაიშალოს.

გეოლოგიურ საწარმოთა სამმართველოს პიონერთა ბანაკის მშენებლობაზე ტემპმა საგრძნობლად იმატა. საქმე წინ წავიდა.

სასტუმროში რემონტი დამთავრდა. პირველად მას თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ესტუმრა. ახალი კორპუსის ვესტიბიულსა და ეზოში სულ რამდენიმე დღის სამუშაოა დარჩენილი.

ბორჯომის რაიონმა დაბის კეთილმოწყობისთვის იზრუნა, დამით მშვენიერი სანახავია რკალუური გზა. ცენტრალური ქუჩები ნარჩენებისგან იწმინდება. მალე მწყობრში ჩადგება ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენი. ციხისჯვარ — ანდეზიტის მონაკვეთის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

დიდი მუშაობაა საჭირო საკავშირო სპარტაკიადისთვის ბორჯომისა და ბაკურიანის გარეგნული გაფორმებისთვის. ეს საქმე რაიონის ხელმძღვანელებსა და საქართველოს სპორტკომიტეტს დაევალათ. მათ უკვე ბევრი რამ გააკეთეს. პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივან შ. ჭალაგანიძესთან ამას წინათ გამართული სპეციალური თათბირი სწორედ სპარტაკიადისთვის რაიონის მზადების საკითხს მიეძღვნა. დაისახა საჭირო ღონისძიება.

რაც შეეხება სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები კოლექტივების მზადებას, ამაზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტის მასობრივი და საწყულსნო სახეობების განყოფილების უფროსმა ა. არხანგელსკიმ გვითხრა, რომ უველა სახეობაში გუნდები კარგა ხანია შექმნილია და სპორტსმენები ინტენსიურად ვარჯიშობენ. მისი აზრით, საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე წარმატებით გამოვლენ სამთომოთხილამურეები და ტრამპლინიდან მხტომელები. თავი არც მოციგაველებმა უნდა შეირცხვინონ, თუ, რა თქმა უნდა, ტრასას დროულად მიიღებენ და წვრთნას საშუალება ექნებათ. ორჯერ ოლიმპიადის მედალოსანი ნინა ზიმიატოვა ამ ტრასაზე ვარჯიშობს.

საქართველოს სპორტკომიტეტის ძველი ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში ამ სახეობათა განვითარებისთვის სათანადოდ არ ზრუნავდა.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

იმ ჯილდოებს შორის, რომლებიც შარშან ჩვენი რესპუბლიკის სპორტმეწყებმა მოიპოვეს, ერთი განსაკუთრებით სასიამოვნოა. ამ ჯილდოს მთავარი ღირსება ისაა, რომ დაწესებისთანავე იგი საქართველოს ათლეტთა საკუთრება გახდა.

მკითხველი ალბათ მიხვდება, რაზე გვაქვს საუბარი. ესაა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კლასიკურ ჭიდაობაში, რომლის პირველი ლაურეატიც თბილისის „დინამოს“ კოლექტივი გახლავთ.

თასის გათამაშების იდეა შარშან დაიბადა და შარშანვე შეისხა ფრთები. სპატიო ჯილდო გათამაშდა როგორც კლასიკურ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში. ვის უნდა მიეღო მონაწილეობა სსრ კავშირიდან ამ ტურნირში? ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ ეს სპატიო მისია დინამოელთა კოლექტივს დააკისრა, ვინაიდან მხოლო საკავშირო გუნდურ ჩემპიონატებში სწორედ ის იყო უძლიერესი.

„დინამომ“ უფლება მიიღო, მაგრამ კონკრეტულად რომელ „დინამოს“, რომელ საქალაქო ორგანიზაციას შესწევდა ძალა ღირსეულად დაეცვა საბჭოთა სპორტის პრესტიჟი? ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობამ არჩევანი უყოყმანოდ შეაჩერა ორ კოლექტივზე: ქლასიკურ ჭიდაობაში — თბილისის „დინამოზე“, თავისუფალში — მის მახაჩყალელ თანამოძმეზე.

ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ არჩევანი იღბლიანი გამოდგა: თბილისელებმა თასი მოიპოვეს, მახაჩყალელები კი მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ და II ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ დასაწყისისთვის არც ეს იყო ურიგო შედეგი.

წლეულს „დინამოს“ ცენტრალურმა საბჭომ გაითვალისწინა ამ ტურნირების მნიშვნელობა და გადაწყვიტა კანდიდატები უფრო გულდაგულ შეერჩია. რატომ მაიცდამაინც „დინამომ“ მიიღო ამ ტურნირებში მონაწილეობის უფლება წლეულსაც? მხოლოდ ინერციის ძალით. შარშან სსრ კავშირში უძლიერესი საუწყებო გუნდის გამოსავლენად შეჯიბრება არ გამართულა და „დინამოს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრადიციის გამგრძელებლის როლი დაეკისრა.

მაშ ასე, „დინამო“ წლევანდელი ტურნირების მონაწილეა და ცენტრალურმა საბჭომაც გადაწყვიტა ჯერ თავისი შეჯიბრებების ჩატარება იმ ვარაუდით, რომ გამარჯვებულებს ნამდვილად ჰქონოდათ ევროპის მასშტაბის ასპარეზობაში მონაწილეობის მორალური უფლება.

ამ დღეებში ლვოვში დამთავრდა ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. მოასპარეზეთა სიაში ვხედავთ მახაჩყალის, თბილისის, ორჯონიკიძის, მინსკის, კიევის, რიგის, ბაქოს, ლვოვისა და მოსკოვის კოლექტივებს. მონაწილეთა შორის იყო ბევრი სახელმოხვეჭილი ოსტატი: მსოფლიო ჩემპიონი ვ. სილუქინი (მინსკი), ევროპის ჩემპიონები ნ. ნასრულაევი (მახაჩყალა) და რ. გაჯიევი (ბაქო), სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორები ვ. შილბერმანი, ბ. შლიოპკინი (ორივე — მინსკი), ტ. ალიბეგაშვილი (თბილისი)... ჯერ მარტო ეს სახელები გვაძლევდა საფუძველს გვეფიქრა, რომ ბრძოლა უაღრესად დაძაბული იქნებოდა.

ასეც მოხდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: ბრძოლა შეუპოვარი და მძაფრი იყო II და III ადგილებისთვის, თასი კი შედარებით იოლად მოიპოვა თბილისის გუნდმა. დიახ, იოლად, ვინაიდან ხუთიდან სამ შეხვედრაში მან აშკარა უპირატესობას მიაღწია.

...შეჯიბრების დებულების თანახმად, გუნდები ორ ჯგუფად დანაწილდნენ. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ კიევის, რიგის, ლვოვის, მოსკოვისა და მინსკის წარმომადგენლები, მეორეში — მახაჩყალის, თბილისის, ორჯონიკიძისა და ბაქოს გუნდები. ამ ჯგუფის მეხუთე მონაწილე — ტაშკენტელთა კოლექტივი ლვოვში არ ჩავიდა.

თბილისელებმა დამაჯერებლად მოუგეს მახაჩყალელებს, აშკარა უპირატესობით სძლიეს ორჯონიკიძის გუნდს და, მოიპოვეს რა ფინალის სავუური, დაამარცხეს ბაქოელები. ამ ჯგუფიდან ბრძოლის გაგრძელების უფლება, თბილისელთა გარდა, ორჯონიკიძის ათლეტებმაც მოიპოვეს, მაგრამ ჩვენებს ფინალში არც ერთი საჯარიმო ქულა არ ჰქონდათ.

პირველ ჯგუფში გადამწყვეტი ბრძოლა მინსკისა და კიევის გუნდებს შორის გაიმართა. გამარჯვებული მინსკელები ფინალში 1 საჯარიმო ქულით შეგიდნენ.

წინასწარი შეჯინებების შემდეგ ფინალისტთა მონაცემები ასეთი იყო: თბილისი — 0 საჯარიმო ქულა, მინსკი — 1, კიევი — 3, ორჯონიკიძე — 4.

გადამწყვეტ ეტაპზე ჩვენი გუნდი ბევრად ძლიერი იყო მეტოქეებზე, და ორივე ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო: კიევთან — 29:6, მინსკთან — 26:9.

II საპრიზო ადგილზე გავიდა ორჯონიკიძელთა კოლექტივი, რომელმაც მინსკელებსაც სძლია (17:16) და კიეველებსაც (22:14).

მაშ ასე, თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლებმა ბრძოლით მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. კაპანაძე, ი. მაღალაშვილი, ტ. ალიბეგაშვილი, შ. ლუთიძე, მ. ბესტავაშვილი, დ. მორგოშია, ა. ავსაჯანიშვილი, ე. სვანიძე, მ. ცნობილაძე, თ. ბენდიანაშვილი.

წლეულს გაზაფხულზე დაეგეგმილია კონტინენტის ზონალური ტურნირები. სულ ოთხი ასეთი ზონა იქნება. ზონებში გამარჯვებული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, რომელიც წლის დამლევს სპატიო ჯილდოს გაითამაშებს.

ნ. ახვლედიანი.

* * *

სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) — დ. მორგოშია, ა. ავსაჯანიშვილი, ე. სვანიძე, მ. ცნობილაძე, თ. ბენდიანაშვილი; დგანან — ვ. არსენიანი (მწვრთნელი), ა. კაპანაძე, ი. მაღალაშვილი, ტ. ალიბეგაშვილი, შ. ლუთიძე, მ. ბესტავაშვილი და თ. გოგოლაძე (მსაჯი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

ნურც სამგოს დავივიწყებთ!

ამ დღეებში თბილისში ჩატარებულმა ჭაბუკ სამბისტთა პირადგუნდურმა პირველობამ ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი: სამბოს სიყვარული ახალგაზრდებში ძიუდოთი გატაცებამ შეცვალა. რა თქმა უნდა, კარგია, როცა სპორტის ახალი სახეობა ესოდენ დიდ პოპულარობას იხვეჭს, მაგრამ სამბო არ უნდა გამოვთიშოთ ჩვენი ინტერესების სფეროდან.

მთავარმა მსაჯმა ხ. წიკლაურმა შეჯიბრების დაწყებამდე გააცნო მსაჯებსა და მწვრთნელებს სამბოს ახალი წესები. მან განსაკუთრებით აღნიშნა ამა თუ იმ ილეთის ახლებური შეფასებები, მაგრამ ზოგიერთმა მწვრთნელმა ყურად არ იღო ეს განმარტებანი. ისინი გაუთავებლად ეკამათებოდნენ მსაჯთა კოლეგიას და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მისი გადაწყვეტილებების გამო.

საერთოდ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ საქალაქო შეჯიბრებებში მსაჯობას ხშირად თავს არიდებენ გამოცდილი არბიტრები. ისინი მხოლოდ დიდ შეჯიბრებებსა და ტურნირებს ელოდებიან, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ უველა ორგანიზაციას ერთნაირ ყურადღებას არ აქცევს ახალგაზრდა სამბისტთა აღზრდას. მაგალითად, სამბო მივიწყებულია განათლების განყოფილებაში, „შრომითის რეზერვებში“ და ზოგიერთ სხვა საზოგადოებაში.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო“, 2. „სპარტაკი“, 3. „ლოკომოტივი“. წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის ჩემპიონები გახდნენ: თ. და მ. არაბულები (ორივე — „სპარტაკი“), ზ. მანგასაროვი, გ. ხუციშვილი, გ. გაბარაშვილი, ვ. ლაშკოგი (უველა — „დინამო“), ლ. მელიქიძე („სპარტაკი“), ა. რუბაშვილი („ლოკომოტივი“), თ. ხიზამბარელი („განთიადი“), ე. დამადაევი („სპარტაკი“), ჰ. ლილაშვილი („დინამო“).

თ. არაბული,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

24 წლისა ისე გახდა, მშვილდი და ისარი ხელში არ აუღია. მოწაფეობაში სათხილამურო სპორტით, კრივითა და ჭიდაობით იყო გატაცებული. ერთხელ უკრაინის ჩემპიონობაც კი მოიპოვა ახალგაზრდა მოჭიდავეებს შორის. ვიქტორ სიდორუკის სპორტული გზა თითქოს გარკვეული იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ვიქტორი მშვილდოსანთა საწვრთნელ მეცადინეობას დაესწრო. იმ დღიდან უველაფერი შეიცვალა. 24 წლის ასაკში ადვილი არ არის სპორტული გზის თავიდან დაწყება, მაგრამ სიდორუკი არ შეშინდა.

მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე იყო ბევრი სახიხარული წუთი, იყო ბევრი წარუმატებლობაც. დღეს კიეველი სპორტსმენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენია. იგი საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში.

უველაზე დიდი წარმატება სიდორუკმა შარშან მოიპოვა საფრანგეთის ქალაქ გრენობლში, სადაც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაიხაკუთრა.

* * *

სურათზე: ჩემპიონი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ვ. სამოხოცკის ფოტო.

საბჭოთა სპორტი



პრიზი ღირსეულს ხვდა

ფეხბურთის მოყვარულთ კარგად ახსოვთ თბილისის „დინამოს“ მესამე თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა იამანიძე. სწორედ მისი კაპიტნობის დროს გახდნენ თბილისის დინამოელები სსრ კავშირის ჩემპიონები. შემდეგ შოთამ აქტიური სპორტი დატოვა და არანაკლები სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა როგორც მშენებელმა ინჟინერმა. შემდეგ კი... შემდეგ ტრაგიკულად შეწყდა საუცხოო ფეხბურთელისა და დიდებული მოჭადრაკის სიცოცხლე...

მაგრამ იამანიძის დიდი დამსახურება სალხმა არ დაივიწყა. აგერ უკვე მესამე წელია ტარდება მისი სახელობის პრიზის გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. მადლობის მეტი რა გვეთქმის კომკავშირის გაგრის საქალაქო კომიტეტისადმი, ამ შესანიშნავი ტურნირის თაოსანი რომ გახდა. პირველი ასეთი ტურნირი 1972 წელს გაიმართა 6 გუნდის მონაწილეობით. შეჯიბრება ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს თბილისის განათლების განყოფილებისა და გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლების გუნდებმა. ამასთან, ამ კოლექტივთა მატჩიც ფრედ დამთავრდა და ამიტომ გამარჯვებულად ორივე გამოცხადდა.

1973 წელს შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი რვამდე გაიზარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და ხარკოვის „სპორტინტერნატი“. ხარკოველთა კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა პრიზის ერთპიროვნული მფლობელი გამოავლინა.

წელეულსაც 8 გუნდი ასპარეზობდა. გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველში გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს“ და განათლების განყოფილების, ქუთაისის „ტორპედოს“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელები; მეორეში — თბილისის ნაკრები და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი, ხარკოვის „სპორტინტერნატის“ და გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები. პირველ ჯგუფში გამარჯვებულები ხვდებოდნენ მეორე ჯგუფში II ადგილზე გასულებს, ხოლო მეორე ჯგუფში გამარჯვებულნი — პირველ ჯგუფში II ადგილის მფლობელთ. ამ შეხვედრებში გამარჯვებულებმა გამართეს მატჩი I ადგილისა და პრიზისთვის, ხოლო დამარცხებულებმა III ადგილი გაითამაშეს.

პირველ ჯგუფში ფავორიტებად ითვლებოდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“. ეს ვარაუდი შეჯიბრებამაც დაადასტურა: ორივე გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (4:1) დაამარცხა „არარატი“ და ასევე ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოუგო თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლებს, ხოლო მათი მატჩი ერთმანეთს შორის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა — 1:1. საჭირო გახდა წილისყრა. აქ ბედმა თბილისელებს გაუღიმა.

უფრო თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარეს თავი მეორე ჯგუფში. აქ I ადგილის ბედი უკვე ბოლო ტურის წინ გადაწყდა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელთა სასარგებლოდ. II ადგილის მფლობელი კი თბილისის ნაკრებისა და „სპორტინტერნატის“ გუნდის მატჩს უნდა დაესახელებინა. ხარკოველებს ფრიც ჰყოფნიდათ. თბილისელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეძლეს ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. ორივე გუნდს 3-3 ქულა დაუგროვდა, მაგრამ შეჯიბრების მონაწილეებმა სურველი გამოთქვეს ოჩამჩირეში შეკრებაზე მყოფ სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წარმომადგენლებს შეხვედროდნენ. ტურნირის მონაწილეთა ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: გიორგობიანი (თბილისი. იგი თბილისელმა ნიკოლაიშვილმა შეცვალა); კრიაჩკო (ხარკოვი), ბუძიშვილი (თბილისი), აირაპეტიანი (ერევანი), კაპლუნი (ხარკოვი); ვირობიანი (ერევანი), მ. ხურცილავა (გაგრა), შერაზადიშვილი (თბილისი); ბურკაძე (ქუთაისი), აკოფოვი, ქუმსიაშვილი (ორივე — თბილისი). ითამაშეს, აგრეთვე, თბილისელებმა სომხიშვილმა და ჩიჭოვანმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოდიოდნენ სსრ კავშირის ნაკრებშიც. ესენი იყვნენ თბილისელი ანსამბლი და გორელი გლაშჩენკო. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მატჩი საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში გოლი გაიტანა ბურკაძემ, რამაც გამარჯვება ტურნირის მონაწილეთა ნაკრებს არგუნა.

... „ტორპედოსა“ და თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდების მატჩში ტორპედოელი შენგელიას მერე გატანილმა გოლმა ქუთაისელებს ფინალის საგზური მოუტანა. „სპორტინტერნატისა“ და „დინამოს“ შეხვედრაში ხარკოველმა ლინკემ თბილისელთა კარში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანა და მისი გუნდი ეს უკვე მეორედ გავიდა ფინალში.

ასპარეზობის ბოლო დღეს ჯერ შედგა მატჩი III ადგილისთვის თბილისის „დინამოს“ და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდებს შორის. დაწინაურდნენ დინამოელები (აკოფოვი). მერე გოლგარშმა წონასწორობა აღადგინა. როცა მატჩის დამთავრებას რაღაც წამები აკლდა და საქმე თერთმეტმეტრიანების სერიებზე უნდა მიმდგარიყო, იმავე აკოფოვმა დინამოელები III საპრიზო ადგილზე გაიყვანა. ასე გამოემშვიდობა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი ტრადიციულ III ადგილს.

საინტერესო იყო „ტორპედოსა“ და „სპორტინტერნატის“ ფინალური მატჩი. ქუთაისელებმა დასწყისში ვერ აუწყეს თამაში. გუნდის კაპიტნის კოსტავას მიერ გატანილმა ბურთმა მათს შეტევებს დამაჯერებლობა შემატა. მეორე ტაიმში ბურკაძემ საჯარიმო დარტყმით ლამაზი ბურთი გაიტანა, ხოლო 3 წუთის შემდეგ შენგელიამ დააგვირგვინა ქუთაისელთა გამარჯვება.

ქუთაისის „ტორპედომ“ (მწვრთნელები ქ. ხურციძე, ბ. ჩოგოვაძე) დამსახურებულად მოიპოვა მ. იამანიძის სახელობის გარდამავალი პრიზი. გუნდის თითოეული წევრი თავგამოდებით იბრძოდა და, თუ მაინც ვინმეს გამოყოფთ, ეს, პირველ ყოვლისა, მეკარე კვერნაძე, ნახევარმცველი ბაბუნიძე, თავდამსხმელები შენგელია, ბურკაძე და დვალიძე იქნებიან.

კვერნაძემ ტურნირის პირველივე მატჩში ხელი იტკინა და მინდორი დატოვა, მაგრამ ფინალში მაინც ითამაშა. გარდა იმისა, რომ რამდენიმე სასიფათო ბურთი აიღო, იგი უწარიანად ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა თამაშს.

ბაბუნიძე გუნდში ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ ეს როდი უშლის ხელს შესანიშნავად გაერკვეს სათამაშო სიტუაციაში. იგი კარგად ხედავს მინდორს და საჭირო შემთხვევაში კარშიც ზუსტად ურტყამს.

ბურკაძე, ჩვენი აზრით, ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა და ყველა მონაცემი აქვს, რომ პირველსარისხოვანი ფეხბურთელი დადგეს.

შენგელიამ დაიმსახურა საუკეთესო თავდამსხმელისთვის განკუთვნილი პრიზი, დვალაძეს კი გუნდში შრომატევადი სამუშაო აქვს დაკისრებული და წარმატებითაც ასრულებს თავის მოვალეობას.

ხარკოველთა მწვრთნელი ნ. კოლცოვი II ადგილით კმაყოფილი დარჩა, ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდის შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თბილისის „დინამოს“ (მწვრთნელები გ. გაგუა, ო. უშვერიძე, ბ. სიჭინავა) შეეძლო უკეთესი ადგილისთვის ებრძოლა, მაგრამ გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა და ამან გავლენა მოახდინა მის თამაშზე.

მეტს მოველოდით თბილისის ახალგაზრდული სკოლის (მწვრთნელები ვ. ელოშვილი, თ. ცერცვაძე), განათლების განყოფილების (ვ. მამალაძე, ა. ხურციძე) და ნაკრები (ა. ვარდიაშვილი, ა. აბულაშვილი) გუნდებისგან.

რამდენიმე სიტყვა ტურნირის მასპინძელზე — გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდზე (მწვრთნელი რ. წოწორია). ამ კოლექტივში რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელია (ნაბაა, აბურჯანია, მ. და ჯ. ხურცილავები), მაგრამ კოლექტივს შეთამაშება აკლია.

გათამაშდა კიდევ ხუთი სააგანგებო პრიზი. ტურნირის საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული ვ. მარღანიას სახელობის პრიზი გადაეცა კ. ნიკოლაიშვილს (თბილისის განათლების განყოფილება). მას ეს ჯილდო გადასცა გაგრის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, ამ ტურნირის ჩატარების ერთ-ერთმა თაოსანმა რ. შარტავამ.

საუკეთესო მცველისთვის დაწესებული ვ. გეტმანოვის სახელობის პრიზი გადაეცა ხარკოველ ვ. კრიაჩკოს.

საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი, გ. სიჭინავას სახელობისა, მიიღო გ. ცუცქირიძემ (თბილისის „დინამო“).

საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი, ვ. ბარჭაიას სახელობისა, გადაეცა რ. შენგელიას. მას ეს ჯილდო გადასცა ქართული ფეხბურთის ვეტერანმა ვ. ბარჭაიამ.

საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული გ. გავაშელის სახელობის პრიზი დაიმსახურა ი. გილაურმა (თბილისის ბავშვთა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა), რომლის ანგარიშში 5 გოლია.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ განზრახულია შემდგომში ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრების სახით ჩატარდეს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის პოპულარობას.

ა. მგელიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
გაგრა — ლესელიძე.

* * *

სურათებზე: ქუთაისელთა გუნდის კაპიტან თ. კოსტავას პრიზს გადასცემს შოთა იამანიძის ვაჟი, პატარა დათო; ქუთაისის „ტორპედო“.

ი. ალექსეენკოს ფოტოები.

„რეალის“ ამერიკული ცრილი

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა ტურნირების მეოთხედფინალური მატჩები.

ჩემპიონთა თასი

ვაჟთა ასპარეზობის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სოფიაში შედგა: ადგილობრივმა „აკადემიკმა“ უმასპინძლა მადრიდის „რეალს“. ესპანელთა შემადგენლობაში თამაშობდა სამი ამერიკელი კალათბურთელი — ბრაბენდერი, უოლტერი და ლაიკი. მატჩის ბედი სწორედ ამ ტრიოს მაღალტექნიკურმა თამაშმა გადაწყვიტა.

ესპანელებმა ტაიმი 7 ქულით მოიგეს — 48:41. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა: „რეალმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 109:83 და ბულგარელებს განწმორებითს შეხვედრაში წარმატების ყოველგვარი იმედი მოუსპო.

აი, როგორ განაწილდა ქულები ცალკეულ მოთამაშეებზე: „რეალი“—უოლტერი — 44, ბრაბენდერი — 22, ლაიკი — 16, კაბრერა — 15, ბრადა — 6, კრისტობალი — 6; „აკადემიკი“ — გოლომეევი — 33, დიმიტროვი — 30, რაიკოვი — 8, ფილიპოვი — 4, ბერზაკოვი — 2, სმოჩევსკი — 2, ათანასოვი — 2, გიაუროვი — 2.

დაძაბული გამოდგა მატჩი გენაში ადგილობრივ „ვინერბერგერსა“ და იუგოსლავიის ჩემპიონ „რადნიჩკის“ შორის. გაიმარჯვეს ავსტრიელებმა — 79:68.

მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში ესპანელის ჩემპიონმა „მაკაბიმ“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ ვარესეს (იტალია) „ინისს“ უმასპინძლა. გაიმარჯვეს იტალიელებმა — 83:77. საფრანგეთის ჩემპიონმა „ბერგმა“ დაამარცხა ანტვერპენის „რესინგი“ — 88:61.

ოთხი შეხვედრა გაიმართა ქალთა ტურნირშიც. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ რიგის ტტტ-მ შინ მოუგო მილანის „სტანდას“ — 94:35. სამი დანარჩენი მატჩი ასე დამთავრდა: „სლავია“ (პრაღა) — „მარიცა“ (სოფია) 79:68, ლუს (ლოძი) — „კლერმონ-ფერანი“ (საფრანგეთი) 44:76, პოლიტექნიკა“ (ბუქარესტი) — მტკ (ბუდაპეშტი) 84:58.

თასების მფლობელთა თასი

ამ ტურნირებში მეოთხედფინალური ჯგუფები 3-3 კოლექტივითაა დაკომპლექტებული. ვაჟთა გათამაშების ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენ უკვე ვწერდით: სოფიის არმიელებმა სძლიეს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ (88:81). დაძაბული გამოდგა ჩეხოსლოვაკიის თასის მფლობელ „სპარტაკ-ზბროიოვკას“ შეხვედრა ბუქარესტის „სტიაუასთან“. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა კალათბურთელებმა — 96:85.

ქალთა ტურნირში უნგრეთის „სპარტაკუსი“ შინ დამარცხდა იტალიის „ჯესასთან“ ორთაბრძოლაში — 53:59, ხოლო ლენინგრადის „სპარტაკმა“, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ორივე მატჩი მოუგო სარაევოს „ცვეტნიჩარს“ — 102:41 და 99:52.

მასპინძლებმა გაიმარჯვეს

გორი, 18 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). თბილისში გამართული მატჩის შემდეგ ბელგიისა და საფრანგეთის პროფკავშირული გუნდების ძიუდოისტები დღეს აქ შეხვდნენ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოჭიდავეებს. წარმატება მასპინძლებს ხვდათ: ბელგიელები მათ დაამარცხეს ანგარიშით 9,5:1,5, ფრანგები — 7,5:3,5. ცალკეულ მოჭიდავეთაგან საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ჩოჩიშვილმა. როგორც ყოველთვის, იგი მაღალი ოსტატობით იბრძოდა და მოუგო ფრანგ უ. კაბანს. მისმა მოგვარემ გ. ჩოჩიშვილმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა უ. ბეტტელთან. წვინდა გამარჯვება მოიპოვეს გ. ასანიძემ და შ. ბუბულურმა.

ფრანგმა უ. ოზანმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონ ს. ქარელთან შეხვედრაში.

ბელგიელებთან შეხვედრაში წმინდა გამარჯვება მოიპოვა გ. ჩოჩიშვილმა (ბ. ტორტოსთან). ი. ფუხაშვილმა დაამარცხა ა. ლენბუხი, ხოლო შ. მიხანაშვილმა — ლ. უარე. კარგად იჭიდავა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის გ. პაპიტაშვილის ვაჟმა სოსომ, რომელმაც მოუგო ვ. გორტორანს.

ი. თევდორაშვილი.

რაც ლიტერატურაში სრულიად შორია

უვარელი

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საერთო გუნდური პირველობა და რაიონის ჩემპიონის წოდება ყვარლის 1-ელი საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე არიან მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეები. III ადგილი ენისლის საშუალო სკოლის გუნდს ერგო.

თ. კონჯოშვილი.

PRZEGLĄD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Népsport · sportowiec · Спорт

ესპანეთი

გადაიდო ორი წლით

მიუნჰენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში პეკა ვასალამ (ფინეთი) სცადა ტელევიზიის დიქტორი გამხდარიყო და მძლეოსნობის კომენტატორად დაწყო მუშაობა. პირველი შეხვედრა წარმატებით დამთავრდა. ტელევიზიის მესვეურებმა შესთავაზეს კიდეც ადგილი ვახალას, მაგრამ ფინეთის მძლეოსნობის კავშირმა კატეგორიული პროტესტი გამოაცხადა. პროტესტი ასე დასაბუთეს: სპორტული რეპორტიორის საქმიანობა უაღრესად დაძაბულია და დიდ ნერვულ ენერგიას მოითხოვს, ეს კი უარყოფითად მოქმედებს აქტიური სპორტსმენის კარიერაზე, მით უმეტეს, თუ მას დიდი შანსი აქვს ოლიმპიური ოქროს მედლის კიდევ ერთხელ მოპოვებისა. ამრიგად, პეკა ვასალა ახალ ამპლუაში მუშაობას ალბათ მხოლოდ 2 წლის შემდეგ შეუდგება.

გულისტკივილი დიდხანს გაჰყვათ

ფეხბურთში ესპანეთის ჩემპიონატის მესამე ლიგის კლუბი „ლუგო“ დიდხანს იყო გაკოტრებული. იგი იხსნეს ფეხბურთელ ქალთა უმაღლესი ლიგის გუნდებმა: „კორუნიამ“, „კარმომ“, „ელ ფერანდიზმა“ და „ელ ფეროლმა“. ამ გუნდებმა რამდენიმე საბენეფისო მატჩი გამართეს და შეძოსავალი მთლიანად კოლეგა ვაქებს „უწყალობეს“. „ლუგოს“ წევრები ყველაზე დიდ განსაცდელს გადაურჩნენ, მაგრამ თავმოყვარეობის შელახვით მიყენებული გულისტკივილი დიდხანს გაჰყვათ.

ჩემპიონის გაოცება

საფრანგეთის სამგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთელ ქალთა შორის კლოდ ბერეული სტუდენტია და, როგორც მისი კოლეგების უმრავლესობა, არადაეგების დროს მუშაობდა: დეპეშები დაჰქონდა. გაოცებულმა კლოდმა შეამჩნია, რომ ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბევრად უფრო დაღლილი იყო, ვიდრე დაძაბული სპორტული ვარჯიშის შემდეგ.

მხოლოდ მსაჯი-მოცურავე...

ესპანეთის პატარა ქალაქ ეციაში დიდი ხანია ერთ ქუჩად ორიგინალურ ტრადიციას მისდევენ: თუ ფეხბურთელთა ადგილობრივი გუნდი მატჩს წააგებს, გახრისებული გულშემატკივრები მდინარეში ჩააყურყუმალავებენ ხოლმე მსაჯს. ამ ჩვეულების მოსპობა ვერ შეძლო ვერც მსაჯთა უამრავმა პროტესტმა, ვერც ჯარიმებმა, ვერც ციხეების დროებითმა დისკვალიფიკაციამ. მსაჯთა კომისია იძულებული გახდა ეციაში გაეგზავნა მსაჯები, რომელთაც იციან... ცურვა.

სტუდენტთა „მკვდარი სულები“

რომის უნივერსიტეტის სტუდენტთა სპორტულმა კავშირმა მთავარ სამმართველოს მოახსენა ახალი წევრების მიღების შესახებ. ამაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი იქნებოდა, ახალ წევრთა გვარები ტელეფონის ნომრების წიგნიდან რომ არ ამოეწერათ ალაბედზე. სტუდენტთა კავშირს სურდა ამ ხერხით რაც შეიძლება მეტი ფული მიეღო. ეს საკმაოდ რომანტიკული ყალთაბაღობა ხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც მთავარმა სამმართველომ უნივერსიტეტის სპორტსმენები დიდი შეჯიბრების სტადიონზე გამოიძახა ისე, რომ სტუდენტთა კავშირისთვის არ შეუტყობინებია. აღსანიშნავია, რომ ორი „სპორტსმენი“ ამ ქვეყნად უკვე აღარ იყო, ხოლო ერთი 77 წლის პენსიონერი, პოლიციის ყოფილი უფროსი გახლდათ.

ესპანეთის ფეხბურთის ჯამპიონატი

შვედეთის გეგმები

ევციის ნაკრების ხელმძღვანელმა გ. ერიქსონმა გამოაქვეყნა მსოფლიო პირველობის ფინალისთვის თავისი გუნდის მზადების გეგმა.

ზამთრის განმავლობაში მოეწყობა ნაკრების კანდიდატთა შეკრება, სადაც ძირითადად ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა ყურადღება. ამ შეკრების მონაწილენი იქნებიან ის პროფესიონალებიც, რომლებიც უცხოეთის სხვადასხვა კლუბში თამაშობენ.

შემდეგ იწყება შვეციის ჩემპიონატი, სადაც 13 აპრილიდან 30 მაისამდე 10 ტური უნდა გათამაშდეს. ბოლო შეკრება 1-12 ივნისს მოეწყობა. ჩემპიონატი, უკვე ნაკრების მოთამაშეთა გარეშე, ივლისში დამთავრდება. იმის გამო, რომ აპრილ-მაისში გუნდებს ეროვნულ პირველობაზე კვირაში 2-2 მატჩი მოუწევთ, ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელობამ პროტესტი გამოთქვა.

დათვური სიყვარული

ბესტი დიდი პოპულარობით სარგებლობს ინგლისშიც და ჩრდილოეთ ირლანდიაშიც. ეს პოპულარობა მას იმის შემდეგაც კი არ დაუკარგავს, რაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიატოვა და პროფესიულ ცირკს მიეკედლა. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ბესტს ხროვად დაჰყვებიან გულშემატკივრები და გასაქანს არ აძლევენ.

ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დუბლინში ამხანაგური მატჩი ჰქონდა „შემროკ როვერზთან“. მინდორზე ბესტის გამოჩენამ გულშემატკივართა აუწერელი ყიჟინა გამოიწვია, თვით ვარსკვლავმა კი ჩინებულად ითამაშა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა დოჰერტიმ თქვა: „ბესტი მატჩიდან მატჩამდე უმატებს თამაშს და უნდა ვიფიქროთ, მალე უწინდელ ფორმას დაიბრუნებს“.

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „შემროკ როვერზის“ შეხვედრა არ დამთავრებულა: როცა მატჩის დასრულებას 10 წუთი აკლდა, გულშემატკივართა დიდი ჯგუფი მინდორზე გადაცვივდა და ბესტს შეხვედრია გარშემო „საალერსოდ“. პოლიციამ ძლივს იხსნა ვარსკვლავი, მსაჯს კი თამაშის დროზე ადრე დათავრება მოუხდა.

• • •

სურათზე: ჯ. ბესტი.

მაინც გადადგა...

ჩვენ ვიუწყებოდით, რომ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი, წარსულში განთქმული ფეხბურთელი ო. სივორი გადადგა და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ რის ვი-ვაგლახად დააბრუნა უკან. სივორის უკმაყოფილების მიზეზი ის იყო, რომ „ფედერაცია დაურიდებლად ერეოდა მის საქმეებში, გეგმების განხორციელების საშუალებას არ აძლევდა.

სივორიმ მოითხოვა ნაკრების კანდიდატებისთვის საშვეიანი შეკრების მოწყობა, რამაც კლუბებისა და ფედერაციის დიდი პროტესტი გამოიწვია. ასეთი ხანგრძლივი მზადება, მათი აზრით, სრულიადაც არ არის საჭირო, ვინაიდან კლუბების ფინანსურ ინტერესებს ამით აშკარა ზიანი ემუქრება. მიიღო რა უარი, სივორიმ განაცხადა, ახლა კი საბოლოოდ გადავდგებიო.

ფედერაციას ამჯერად ბევრი ხვეწნა-მუდარა აღარ დაუწყია, თუმცა ამ მწვრთნელის დამსახურება საყოველთაოდ ცნობილია. სივორის ნაცვლად არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა ლ. კაპი.

„გოლის“ 3 ნაკრები

კრაღის ცნობილმა ჟურნალმა „გოლმა“ სპორტულ მიმომხილველთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად გამოაქვეყნა ევროპის 3 ნაკრების შემადგენლობები.

პირველ ნაკრებში მოხვდნენ: ძოფი (იტალია), ბეკენბაუერი (გფრ), მეიდლი (ინგლისი), ჰულსჰოფი, კროლი (ორივე — ჰოლანდია), რიერა (იტალია), ბონევი (ბულგარეთი), დეიხა (ჰოლონეთი), კრუიფი (ჰოლანდია), მიულერი (გფრ), რივა (იტალია).

მეორე ნაკრები — ვიქტორი (ჩეხოსლოვაკია), სოლი (ესპანეთი), ბურგნიჩი (იტალია), გორგონი (ჰოლონეთი), ბრაიტნერი (გფრ), ნეესკენსი (ჰოლანდია), კრაიშე (გდრ), ბრემნერი (შოტლანდია), ბლოხინი (სსრ კავშირი), ანასტაზი (იტალია), გადოხა (ჰოლონეთი);

მესამე ნაკრები — ჯენინგსი (ჩრდილოეთ ირლანდია), სპინოზი (იტალია), ვან დენ დალე, ბლანკენბურგი (ორივე — ჰოლანდია), სტეპანოვიჩი (იუგოსლავია), ნეცერი (გფრ), მაცოლა (იტალია), ასენსი (ესპანეთი), ლორიმერი (შოტლანდია), ლიუბანსკი (ჰოლონეთი), სანდბერგი (შვეცია).

ჩემპიონატები, ჯამპიონატები, ტიპიონატები

ინგლისი

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი“	25	45:14	42
„ლივერპული“	25	33:21	34
„ბერნლი“	25	32:27	30

შოტლანდია

ჩემპიონატის ლიდერთა სამეული ასეთია:

„სელტიკი“ (გლაზგო)	18	51:12	32
„ჰიბერნიენი“ (ედინბ.)	18	40:21	27
„გლაზგო რეინჯერსი“	18	27:14	24

გფრ

გათამაშების XIX ტურში მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“ სტუმრად ფრედ დაამთავრა შვეიდრა „დუისბურგთან“ — 1:1.

ლონდონში ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 2:1. მანჩესტერელები ბოლოდან მეორე (XXI) ადგილზე არიან.

ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი“	25	45:14	42
„ლივერპული“	25	33:21	34
„ბერნლი“	25	32:27	30

შოტლანდია

ჩემპიონატის ლიდერთა სამეული ასეთია:

„სელტიკი“ (გლაზგო)	18	51:12	32
„ჰიბერნიენი“ (ედინბ.)	18	40:21	27
„გლაზგო რეინჯერსი“	18	27:14	24

გფრ

გათამაშების XIX ტურში მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“ სტუმრად ფრედ დაამთავრა შვეიდრა „დუისბურგთან“ — 1:1.

მიუნჰენის „ბაიერნმა“ შინ დაამარცხა დიუსელდორფის „ფორტუნა“—5:1. „შტუტგარტმა“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ბრემენის „ვერდერთან“ — 2:2.

საუკეთესო სნაიპერია მიულერი („ბაიერნი“) — 18 გოლი. ამ ტურამდე მას სჯობდა „ბორუსიის“ თავდამსხმელი ჰაინკესი, მაგრამ მიულერმა „ფორტუნას“ კარში 3 ბურთი გაიტანა და გაუსწრო ჰაინკესს, რომლის აქტივში 17 გოლია.

„აინტრახტი“	19	37:28	26
„ბაიერნი“	19	55:39	25
„ბორუსია“ (მენჰენგ.)	19	49:36	24

იტალია

ჩემპიონატის ბოლო ტურებში დაწინაურდა რომის „ლაციო“, რომელმაც ზედიზედ მოუგო ჯერ „მილანს“ (1:0), ხოლო შემდეგ „იუვენტუსს“ (2:1).

ტურინის „იუვენტუსმა“ შინ აჯობა მილანის „ინტერნაციონალეს“ — 2:0. გოლები გაიტანეს ალტაფინიმ და ჩუკურედუმ. „მილანმა“ ასევე შინ სძლია „ტორინოს“ — 1:0.

საუკეთესო სნაიპერია ბონინსენია („ინტერნაციონალე“) — 11 გოლი. ჩუკურედუ („იუვენტუსი“) და რივა („კალიარი“) 8-8 გოლით ბონინსენიას მთავარი მეტოქეები არიან.

„ლაციო“	12	14:6	19
„იუვენტუსი“	12	23:12	17
„ნაპოლი“	12	13:8	15
„ფიორენტინა“	12	13:8	15
„ფოჯა“	12	10:10	15

საფრანგეთი

„სენტ-ეტიენმა“ თავის სტადიონზე სძლია „მონაკოს“ — 3:2. გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა რეველიმ.

„რეიმსმა“ შინ მოუგო „ანჟერს“ — 4:2. „ანჟერის“ კარი სამჯერ აიღო ბიანკიმ.

„სენტ-ეტიენი“	21	37:23	34
„ანჟერი“	21	45:35	32
„ნანტი“	20	33:19	31

ესპანეთი

მორიგ ტურში „ბარსელონამ“ შინ დაამარცხა „ლას-პალმასი“ — 3:0.

ბილბაოში ადგილობრივმა „ატლეტიკომ“ მოუგო „სანტანდერს“ — 3:1. მადრიდში „რეალმა“ ფრედ ითამაშა თანაკლუბელ სტუმართან — ხიხონის „რეალთან“ — 2:2.

24 ქულით ლიდერობს „ბარსელონა“. 22 ქულით II ადგილზეა ბილბაოს „ატლეტიკო“, ხოლო მადრიდის „რეალი“ და „რეალ სარაგოსა“ 20-20 ქულით III-IV ადგილებზე არიან.

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსი“ „ცუდი“ მასპინძელი გამოდგა: შინ დიდი ანგარიშით მოუგო „გრონინგენს“ — 9:0.

დევენტერში როტერდამის „ფეიენოორდმა“ სძლია ადგილობრივ „გო ეჰედს“ — 3:1.

ენსხედეს „ტვენტემ“ სტუმრად მოუგო „ჰარლემს“ — 2:1.

„აიაქსი“	18	62:14	32
„ტვენტე“	17	30:11	28
„ფეიენოორდი“	17	55:20	27

ბელგია

„შკ ბრიუგმა“ თავის მინდორზე წააგო (0:4) „ანტვერპენთან“ და ახლა VIII ადგილზეა.

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ შინ ფრედ ითამაშა „ბეერშოტ-ვაასთან“ — 1:1.

„ანდერლეხტი“	14	33:13	21
„რასინგ ვიტი“	14	20:8	19
„ვარეგემი“	14	22:20	19

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენ ვწერდით, რომ ფინელმა ზემძიმე წონის ძალოსანმა კ. ლაპდენრანტამ ატაცში მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ზაპოროჟიელ გოლეათს ლ. ყაბოტინსკის. ახლა დავუმატებთ, რომ ქვეყნის ჩემპიონატი მან საკმაოდ მოკრძალებული შედეგით (380 კგ) მოიგო და ასევე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა აკრაში, თუმცა სხვა დროს 200 კილოგრამზე მეტიც დაუძლევია.

• • •

სურათზე: კ. ლაპდენრანტა ასპარეზობისას.

ბ. სვეტლანოვის ფოტო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02432